ქეუ მეფარიშვილი
QEU MEPARISHVILI

მულტიმედია ხელოვანი ქეუ მეფარიშვილი (1995) ცხოვრობს და მუშაობს თბილისში. იგი სწავლობდა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც მიატოვა და სწავლა თანამედროვე ხელოვნების ცენტრში (CCA – TBILISI) - არაფორმალურ სამაგისტრო პროგრამაზე დაასრულა 2016 წელს. ქეუს შემოქმედება მრავალმხრივია, ის ექსპერიმენტირებს მასალებითა და გამოხატვის ფორმებით. ძირითადად მუშაობს ქანდაკებაზე, ვიდეოსა და ინსტალაციაზე. მისი შემოქმედება პირადი გამოცდილებებით არის ინსპირირებული. ხელოვანი ცდილობს ჩაუღრმავდეს საკუთარ ემოციებსა თუ შთაბეჭდილებებს, შემდეგ განაზოგადოს ისე, რომ სოციალურად აქტუალურ თემატიკამდე მივიდეს. რეზიდენციის განმავლობაში იგი ფიქრობდა ეროვნულობის საკითხებზე, თვითიდენტიფიკაციისა და ოკუპაციის თემებზე, რომლის საპასუხოდაც შექმნა ნამუშევარი.

Multimedia artist Qeu Meparishvili (b. 1995) lives and works in Tbilisi. She enrolled at the State University of Theater and Film, but left and completed her education at the Center for Contemporary Art (CCA-Tbilisi) with an informal master's degree in 2016. Qeu's creations are very versatile, she experiments a lot in materials and forms of expression, mainly working on sculpture, video and installation. Her art is largely inspired by her own experiences; The artist tries to delve deep into her own emotions or impressions, to then generalize these into socially relevant topics. During the residency she mused around the topics of nationhood, self-identification, occupation and created an artwork in response to these.



სიზმრებს ხედავ? რა გავლენას ახდენენ სიზმრები შენს ხელოვნებაზე?

ჩემს შემოქმედებით პროცესში სიზმრებს დიდი ნაწილი უკავიათ. მაინტერესებს ესქატოლოგია და მგონია, სიზმრები ამის ნაწილია. საიდუმლო კავშირი ორ განზომილებას შორის. ყოველთვის საინტერესოა რატომ გადაწყვიტა შენმა არაცნობიერმა რომ ზუსტად ეს სიუჟეტი დაგანახვოს? „მე ვხედავ სიზმრებს, არა თქვენებურს“ ამბობდა გალაკტიონი.

DO YOU DREAM? HOW DO THEY AFFECT YOUR ART?

Dreams play a big role in the process of my creative work. I am interested in eschatology and I think that dreams are a part of this; like a hidden connection between two dimensions. It is always interesting as to why did your subconscious mind decide to show you a certain plot? As Galaktioni said: “I see dreams, different from yours”

როგორ ირჩევ მასალას სამუშაოსთვის?

ხშირად ვექსპერიმენტირებ მასალებით. მიყვარს სხვადასხვა ტექსტურებზე მუშაობა, მაგრამ ბოლო პერიოდის განმავლობაში ძირითადად თიხაზე ვმუშაობ. თიხა ცოცხალია, სუნთქავს, დრეკადი და მოქნილია. პირველ სტადიაშია და საბოლოოდ ისევ მიწად იქცევა.

HOW DO YOU CHOOSE THE MATERIAL FOR YOUR WORK?

Frequently I experiment with different materials. I like to work with various textures, but recently I’ve been mostly working with clay. Clay is alive, it breathes and is very elastic and flexible. It is in its first stage and will eventually return to the ground.

რა გამოძრავებს?

საინტერესოა მითები, ლეგენდები, პოეზია და გარშემო მომხდარი ფაქტები. ეს ინფორმაციები სწორედ ნამუშევარზე მუშაობისას ითარგმნება. თარგმანი შეიძლება ზუსტი არ იყოს, მაგრამ შინაარსი აუცილებლად მეორდება.

WHAT DRIVES YOU?

Myths, legends, poetry and surrounding life are very fascinating. All of these are translated into my work. Though they might not be accurate translations, the essence still remains, is necessarily repeated.